საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030176831470720

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/5876 **03 / ივნისი / 2020 წ.**

ავსტრიის პოლიციის ატაშეს საქართველოსა
და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში
ბატონ გერალდ ჰიორმანს

ბატონო გერალდ,

თქვენი 2020 წლის 5 მარტის წლის L518 2229009-1/4z წერილის პასუხად, რომელიც ეხება კუშინგის სინდრომის საქართველოში მკურნალობის საკითხს, ენდოკრინოლოგიის დარგში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტის ბატონი დავით მეტრეველისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად გაცნობებთ, რომ თანამედროვე ენდოკრინოლოგების უმრავლესობა კუშინგის ავადმყოფობას განიხილავს როგორც კუშინგის სინდრომის კერძო ვარიანტს, თუმცა, ზოგიერთი სპეციალისტი ამჯობინებს, რომ ეს ორი ცნება ავადმყოფობათა ორ ჯგუფად განიხილოს.

რაც შეეხება კუშინგის სინდრომისა თუ კუშინგის ავადმყოფობის საქართველოში მკურნალობის შესაძლებლობას, უმრავლეს შემთხვევებში შესაძლებელია ამ მდგომარეობის საქართველოში მკურნალობა, თუმცა, არსებობს განსაკუთრებით რთული შემთხვევები, როდესაც გაძნელებულია დიაგნოსტიკისთვის საჭირო რთული მანიპულაციების ჩატარება და ასეთ შემთხვევებში, ექიმები/პაციენტები იძულებულნი არიან დახმარებისთვის მიმართონ ევროპისა და მსოფლიოს მოწინავე სამედიცინო ცენტრებს. მაგ. საქართველოში ჯერ არ არის დანერგილი თავის ქალას ე.წ. კლდოვანი სინუსიდან (sinus petrosus) სისხლის სინჯის აღება ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის (აკტჰ) დონის განსაზღვრის მიზნით. ასეთი დიაგნოსტიკური ტესტირება რიგ შემთხვევებში აუცილებელია კუშინგის ავადმყოფობის დიაგნოსტიკისთვის, შემდგომი ნეიროქირურგიული მკურნალობის მიზნით. რაც შეეხება კუშინგის სინდრომის ისეთ ვარიანტს, რომელიც გამოწვეულია თირკმელზედა ჯირკვლის ჰორმონულად აქტიური სიმსივნით, ასეთ დროს იშვიათად არის გადაულახავი დიაგნოსტიკური სიძნელეები და ექიმთან პაციენტის დროულად მიმართვის უმრავლეს შემთხვევებში დიაგნოსტიკა და ქირურგიული მკურნალობა მაღალი ეფექტურობით ტარდება.

ამდენად, წერილში დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა უნდა მოხდეს კონკრეტული პაციენტის მდგომარეობის გათვალისწინებით.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია